

ვებ-გვერდით სარგებლობის პირობები

(სურვილების გამოგზავნისთვის)

მოგესალმებით www.convertor.ge-ზე.

ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ვებ-გვერდით სარგებლობის პირობებს და ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე. დოკუმენტში განსაზღვრულია ასევე შპს „კონვერტორ.ჯი“-ს (ს/კ: 402008527) უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები (შემდგომში „კომპანია“), რადგანაც ის ფლობს და ახდენს ვებ-გვერდის www.convertor.ge-ს ადმინისტრირებას.

გთხოვთ, გაეცნოთ წინამდებარე დოკუმენტს და გაითვალისწინოთ თითოეული პუნქტი, ვინაიდან ვებ-გვერდზე ვიზიტით, სურვილის გამოგზავნით, განაცხადის შევსებით, რეგისტრაციითა თუ ნებისმიერი მომსახურებით სარგებლობით ითვლება, რომ თქვენ ავტომატურად აცხადებთ თანხმობას „ვებ-გვერდით სარგებლობის პირობები“-ით გათვალისწინებულ პირობებზე.

1. შესავალი დებულებები

1.1. www.convertor.ge-ს (შემდგომში „ვებ-გვერდი“) საშუალებით ვებ-გვერდის ვიზიტორებს (შემდგომში „მომხმარებელი“) შეუძლიათ გამოგზავნონ სურვილები სხვადასხვა სახის უძრავი ქონების შეძენასთან, დაქირავებასთან და დაგირავებასთან დაკავშირებით ამ სურვილებზე სხვადასხვა სახის შეთავაზებების მიღების მიზნით.

1.2. მომხმარებელი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირი.

1.3. სურვილების გამოგზავნა არის უფასო და რაოდენობრივად შეუზღუდავი.

1.4. სურვილის გამოსაგზავნად საჭიროა მომხმარებელმა დაწეროს ის ვებ-გვერდზე განთავსებულ სურვილების დაფაზე, მიუთითოს ელ-ფოსტა ან საკონტაქტო ტელეფონის ნომერი ან გაიაროს ავტორიზაცია პირადი Facebook პროფილით და დაეთანხმოს „ვებ-გვერდით სარგებლობის პირობებს“.

1.5. მომხმარებლების გამოგზავნილი სურვილები უნდა შეეხებოდეს მხოლოდ 1.1 პუნქტში მითითებულ საქმიანობის სფეროს.

1.6. სურვილების შესაბამის შეთავაზებებს მომხმარებლები იღებენ უძრავი ქონების მფლობელი ან საბროკერო კომპანიებისგან ან ფიზიკური პირებისგან (შემდგომში - „მიმწოდებელი“)

2. მომხმარებლის მონაცემების გამოყენება და დაცვა

2.1. შპს „კონვერტორ.ჯი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) უფლება აქვს მიიღოს www.convertor.ge-ზე მომხმარებლის მიერ გამოგზავნილი სურვილები, მათი გაცნობის და შემდგომი რეაგირების მიზნით.

2.2. კომპანიას უფლება აქვს მიიღოს როგორც სურვილი, ასევე მის ბაზაში დაფიქსირდეს მომხმარებლის ელ-ფოსტა, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ან Facebook-ის პროფილის ბმული და პირადი ნომერი.

2.3. კომპანიას უფლება აქვს გადაუზავნოს მიმწოდებლებს მომხმარებლის სურვილის ტექსტი ელ-ფოსტა, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, Facebook პროფილის ბმული ან პირადი ნომერი. მომხმარებლისთვის შეთავაზებების გაგზავნის მიზნით.

2.4. კომპანიას უფლება აქვს არ გაუზავნოს მიმწოდებელს ინფორმაცია და მონაცემები მომხმარებლის შესახებ თუ ის არ შეესაბამება 1.1 პუნქტში მითითებულ მიზნობრიობას ან/და თუ მომხმარებლის მიერ სურვილი ჩამოყალიბებულია არასრულყოფილად (არ არის მითითებული სასურველი უძრავი ქონების ლოკაცია, ზომა, კონდიცია, გარიგების ტიპი).

3. მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდება და სისწორე

3.1. კომპანია პასუხს არ აგებს მიმწოდებლის მიერ მომხმარებლებისთვის მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე, ხარისხზე, სისწრაფესა და რაოდენობაზე.

3.2. იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელს აღარ სურს მიიღოს ინფორმაცია და შეთავაზებები უნდა მიმართოს პირდაპირ მიმწოდებელს.

3.3. კომპანიას უფლება აქვს მომხმარებელს გაუზავნოს ვებ-გვერდის შეფასების ფორმა მომხმარებლის მიერ სურვილის გამოგზავნისას მითითებულ ელ-ფოსტაზე, Facebook ბმულზე ან დაუკავშირდეს საკონტაქტო ნომერზე.

3.4. კომპანიას უფლება აქვს მომხმარებელს გაუზავნოს ინფორმაცია კომპანიის სიახლეების შესახებ მომხმარებლის მიერ სურვილის გამოგზავნისას მითითებულ ელ-ფოსტაზე, Facebook-ის ბმულზე ან საკონტაქტო ნომერზე.

4. მომხმარებლის ქცევის წესები

4.1. მომხმარებელი უნდა დაემორჩილოს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ პირობებს.

4.2. მომხმარებელი ვალდებულია არ განახორციელოს ნებისმიერი ქვემოთ ხსენებული ქმედება:

4.2.1. ვებ-გვერდის დაცულ ნაწილზე შესვლის მცდელობა, რისი უფლებაც მომხმარებელს არ აქვს;

4.2.2. ვებ-გვერდიდან რაიმე ინფორმაციის მოსაპოვებლად ან მოსაძებნად, ვებ-გვერდის გამართულ ფუნქციონირებაში ჩარევის მიზნით ნებისმიერი ავტომატური ან მექანიკური პროცესის გამოყენება.

4.2.3. ნებისმიერი სახის ვირუსული პროგრამის ("worm", "trojan horse", „virus“, „spyware“, „carding“ და ა.შ.) გამოყენება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის ვებ-გვერდის ფუნქციონირებას და საფრთხის ქვეშ დააყენებს მისი გამოყენების უსაფრთხოებას მომხმარებლისათვის;

4.2.4. გამოგზავნილ სურვილებში უცენზურო სიტყვების გამოყენება ან კომპანიისთვის და მესამე პირებისთვის შეურაცხყოფის მიყენება.

4.2.5. არასასურველი სპამის შესაქმნელად ვებ-გვერდის გამოყენება.

4.2.6. პლატფორმის გამართულად მუშაობის საწინააღმდეგო ისეთი საფრთხის შემცველი ქმედების ან მცდელობის განხორციელება, რომლის მიზანი შესაძლებელია იყოს საწყისი კოდის გამოვლენა, რასაც ემყარება ვებ-გვერდის ფუნქციონირება.

4.2.7. სხვა პირის ელ-ფოსტის მითითება სურვილის გამოგზავნისას.

5. კომპანიის პასუხისმგებლობა

5.1. კომპანია რეკომენდაციას არ უწევს არც ერთ მიმწოდებელს და არ არის მათი წარმომადგენელი.

5.2. კომპანიის კომპეტენციაში შედის მხოლოდ მომხმარებლის მიერ გამოგზავნილი სურვილის დამუშავება და გაგზავნა იმ მიმწოდებლებისთვის, რომელსაც შეიძლება ეხებოდეს.

5.3. კომპანია პასუხისმგებლობას არ იღებს საკუთარ თავზე რომ მომხმარებლის სურვილი აუცილებლად დაკმაყოფილდება.

5.4. წინასწარი შეთანხმების გარეშე კომპანიას შეუძლია შეუწყვიტოს ან შეუზღუდოს მომხმარებელს ვებ-გვერდზე ან მომსახურებაზე წვდომა. ამავდროულად, კომპანია პასუხისმგებლობას არ იღებს იმ ზიანზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს მომხმარებელს ამგვარი ქმედებით.

5.5. კომპანია საკუთარ თავზე არ იღებს პასუხისმგებლობას, თუ მომხმარებლის მიერ ვებგვერდიდან ან ვებგვერდზე განთავსებული ბმულის გამოყენებით ნებისმიერი სახის ინფორმაციის ან/და პროგრამის ჩამოტვირთვისას ზიანი მიადგება მომხმარებლის ან ნებისმიერი მესამე პირის კომპიუტერს (ან მის რომელიმე ნაწილს) ან მობილურ მოწყობილობას.

5.6. კომპანია გათავისუფლებულია ისეთი პასუხისმგებლობებისგან, როგორებიცაა: სატელეფონო ქსელების, კომპიუტერული სისტემების, სერვერების ან პროვაიდერების, კომპიუტერული ან სატელეფონო მოწყობილობების პროგრამული უზრუნველყოფა, ელ. ფოსტის სერვისების ტექნიკური გაუმართაობა ან სხვა სახის ტექნიკურ ხარვეზები; დაშვებები, შეცდომები; შეწყვეტები და დაყოვნებები მონაცემთა დამუშავებისა და გადაცემისას; დეფექტები; მომხმარებლის მასალების მოპარვა, განადგურება და არასანქცირებული წვდომა.

რედაქტირებულია: 31.03.2017